საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 მარტი, 2015 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/13

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების, ხანგრძლივობა – 3 წელი) პროგრამაზე ,,სამედიცინო რადიოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13-14 მუხლების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ და 2014 წლის 4 თებერვლის №01–6/ნ ,,სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2012 წლის 23 ოქტომბრის №02/66547, 2013 წლის 07 ოქტომბრის №02/90152 და 2014 წლის 29 ივლისის №02/63767 წერილების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის №01-08/21 ბრძანებისა და ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ხელმძღვანელის, მედიცინის დოქტორ დავით ცეცხლაძის 2015 წლის 12 მარტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების, ხანგრძლივობა – 3 წელი) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ვაკანტურ 6 ადგილზე გამოცხადდეს მისაღები კონკურსი;

2. საექიმო სპეციალობის მაძიებელთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2015 წლის 16 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით 10სთ–დან 18სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა;

3. თუ სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობა აღემატება 6–ს, ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი

შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

4. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემულ იქნას კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე;

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე,

ასოცირებული პროფესორი **ი. ბარამიძე**